

ვნების კვირა

დიდი მარხვის 40 დღის შემდეგ იწყება ვნების კვირა. მართალია, ეს შვიდეული დამოუკიდებელი მარხვაა, მაგრამ განუყოფელი ნაწილია ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისწინა მარხვისა.

ვნების შვიდეული მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეებია. მას მოჰყვება მისი ჯვარცმა, დაფვლა და აღდგომა. ამ დღეთა განსხვავებით ყოველი ქრისტიანი სულიერად ბრუნდება იმ სამყაროში, სადაც უფალი ჯერ კიდევ კაცობრიობის გვერდით იყო.

ვნების შვიდეულის მარხვა განსაკუთრებით მძიმეა და თავისებური - ვნების შვიდეულის შაბათ დღეს, განსხვავებით წლის დანარჩენი შაბათებისგან, აუცილებელია, მკაცრი მარხვა შევინახოთ.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ვნების შვიდეულის დღეებით იკურთხება მთელი წლის დღეები. დიდი ორშაბათით იკურთხება მთელი წლის ორშაბათი დღეები, დიდი სამშაბათით - სამშაბათები და ასე შემდეგ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, როგორ გავატარებთ ამ დღეებს.



დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლელვის განმობას იხსენებს. ეს ლელვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა და დაგმო ისინი. უნაყოფო ლელვი ასევე იმ ქრისტიანთა სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ იხსამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან განდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს.

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი - მოწყალებისკენ.

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეა. ოთხშაბათი ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესოს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჭდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო

ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის, „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო“, დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ, პარასკევამდე, ამ ლოცვას მხოლოდ ბერ-მონაზვნები აღასრულებენ სენაკებში.

დიდი ხუთშაბათი

იერუსალიმში შესვლიდან მეოთხე დღეს იესომ თორმეტივე მოწაფე შეკრიბა და უკანასკნელად დამოძღვრა: „ნუ იქნება თქვენს შორის ცილობა, ვინ უფრო დიდია, არამედ უდიდესი იყოს, როგორც უმცირესი და წინამძღვარი - როგორც მსახური... მე ვარ თქვენ შორის, როგორც მსახური, თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში - ჩემ გვერდით მყოფნი“. შემდეგ ჩაასხა საბანელში წყალი და დაიწყო მოწაფეთათვის ფეხების ბანა: „ხოლო თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, - ამბობს იგი, - დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ბანდეთ ერთმანეთს ფეხებს, ვინაიდან მაგალითი მოგეცით და ნეტარია, ვინც აღასრულებს ამას“. მაგრამ ყველა არ მოინდომებს ამ ნეტარებასა და ღვთის სიყვარულში წილის დადებას... „ერთი თქვენგანი გამცემს მე“, - იტყვის უფალი. იუდა დაუნანებლად ტოვებს სერობას, გაურბის მხილებას, ტოვებს ღმერთს და უღმერთო ხდება.

მათთვის, ვინც საკუთარ თავზე მეტად შეიყვარა იგი, როგორც მაცხოვარი, როგორც აღდგომის ცხოვრება და ჭეშმარიტება, ქრისტე აწესებს ზიარების გამომხსნელ საიდუმლოს. „აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთი იდიდა; გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი... როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ ერთმანეთი“, ამბობს უფალი. - „არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე მას, ვინც სულს დადებს მეგობრისთვის. მე ავირჩიეთ თქვენ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ. აჰა, მოდის დრო, ცოტაც და ველარ მიხილავთ მე. მწუხარენი ხართ ახლა, მაგრამ კვლავ მიხილავთ და გაიხარებთ თქვენი გული და ველარავინ წაგართმევთ სიხარულს. გამხნევდით, მე ვძლიე ქვეყანას“, - იტყვის უფალი და გეთსიმანიის ბაღისაკენ გაემართება ზეციური მამის წინაშე სალოცავად, რათა შეავდროს ძეობა თვისი, საყვარელი მოწაფენი და ცოდვით დამძიმებული კაცობრიობა.

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას.

სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფერხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა



ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს. ამავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში სრულდება ფეხთბანის რიტუალი. კათოლიკოს-პატრიარქი იწვევს თორმეტ მღვდელს და ბანს ფეხებს.

დასასრული

დიდი ხუთშაბათი ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრის კურთხევისას გამოიყენება). ამ კვირაშიც მკაცრად ვმარხულობთ, თუმცა "დიდი ხუთშაბათი", ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა.

დიდ ხუთშაბათ საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. "თორმეტი სახარება", ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჭვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჭვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიით ემთხვევიან და ტაძარს ტოვებენ. ძველი ტრადიციის თანახმად, სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავილოთ შინ და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალის კვამლით ჭვარი გამოვსახოთ. ამისთვის უნდა მოვამზადოთ ლამპარი, რათა სანთლის შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჭვარცმას, ჭვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჭვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცივალა ჭვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - „საფლავი“, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას - მოხატულ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული.

სვიმეონ ღვთისმამის მკვლელობის ღვთისმსახურებისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჭვარ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, „მამაო ჩვენო“ გალობის შემდეგ კი ტროპარის, „მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი“, გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევილიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და „საფლავში“ დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდლოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მხოლოდ პურსა და წყალს იხმევს.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი, სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჭვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერისას ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.



დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორციით საფლავში, სულით კი ჯოჯონეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები "წმინდაო ღმერთოს" გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯონეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია, ანუ წირვა, ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურებს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდლოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. მთელ ტაძარში შავი ფერები ნათლით იცვლება. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლედ დედებმა დილაადრიან, რიბირაბოზე, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების“ კითხვა მოსდევს, რაც შუალამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თერთმეტ საათამდე აღესრულება შუალამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდლოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუალამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მივიღოს თქვენგან.“

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მუნიციპალიტეტის მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა



შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გუღუდთან ერთად, რეგიონში შემაჯავლი მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

სამუშაო შეხვედრაზე რეგიონისთვის პრიორიტეტული საკითხები განიხილეს, მათ შორის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ასევე, ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, იმსჯელეს ტურისტული ლოკაციების მზადყოფნის შესახებაც. გარდა ამისა, იმსჯელეს სოფლის მეურნეობის, ვარემოს დაცვისა და მედიორაციის საკითხებზე.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მიმდინარე წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება, რაც თავის მხრივ მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, მსგავსი სახის შეხვედრები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებთან კოორდინირებულ მუშაობასა და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ. #1, 2, 3, 7, 8, 9, 10, 11, 12)

გიორგი ლობჯანიძეს სპარსულად თარგმნილი აქვს ქართული ხალხური პოეზია, ოთარ ჩხეიძის, რეზო ინანიშვილის და ნაირა გელაშვილის ნაწარმოებები.

გამოსცა XX საუკუნის დიდი სპარსი პოეტის სიძრაბ სეფეკრის რჩეული და სპარსულ ხალხური ზღაპრები. არაბულიდან თარგმნა და გამოსცა მუსლიმთა საღვთო წიგნი „ყურანი“ (2006), ჯიმრან ხილალი ჯიბრანის რომანი „იესო-ძე კაცისა“. გიორგი ლობჯანიძე მუშაობს თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, არის საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის“ აღმოსავლური განყოფილების გამგე, საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს თარგმანი. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ ნოეს ძე ლომიძე დაიბადა 1954 წელს. 1971 წელს დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა. შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1988 წლიდან ხელმძღვანელობდა ნ. მუსხელიშვილს სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ხის დამუშავების ტექნოლოგიისა და სატყეო საქმის კათედრას. 1990 წლიდან არის დოცენტი, გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. 2013 წლიდან მოღვაწეობს ხაშურში.

ხაშურელმა მეტრეველებმა არაერთი ღირსეული მამულიშვილი მისცეს ქვეყანას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი და თემურ მეტრეველების დედაწლი. მათი ფესვები სოფელ ოსიაურიდან მოდის. მერე კი ცხოვრების დიდი ნაწილი ხაშურს დაუკავშირეს.

გიორგი ტიგრანის ძე მეტრეველი დაიბადა 1934 წელს. 1952 წელს დაამთავრა რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საგარეჯოს რაიონის სოფ. სართიჭალის II საშუალო სკოლაში (1956-58), მუშაობდა ამავე რაიონის სოფელ საცხენისის რვაწლიანი სკოლის დირექტორად (1958-61) ხაშურის რაიონის სოფ. იტრიის საშუალო სკოლაში (1961-71), ხაშურის III საშუალო სკოლაში (1971 წლიდან), აქვე იყო დირექტორის მოადგილე (1980 წლიდან), დირექტორი (1985-2005).

გიორგი მეტრეველი 50-იანი წლებიდან ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწევა. ცნობილია როგორც საბავშვო პოეტი. არის არაერთი პოეტური კრებული ავტორი: „ძმე და თეა“ (1974), „სამადლობელი ბარათი“ (1981), „ჩიტუნები მღერა“ (1981), „გატყდა ზამთარი“ (1986), „მე და ჩიტი“ (1986), „ქებათა ქება მასწავლებელს“ (1998) „დარდი სიზმარივით დაკარგული“ (2005) ერთტომეული (2014) და სხვა. ავტორია მეთოდური შინაარსის კრებულისა მათემატიკაში „ფაკულტატური მეცადინეობა მათემატიკაში XI კლასში“. გამოსცემდა საკუთარ გაზეთს „გიორგი მეტრეველი“ (გამოვიდა ოთხი ნომერი). რაიონულ და რესპუბლიკურ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი პედაგოგიური ხასიათის წერილები და სტატიები. წლების მანძილზე იყო გაზეთ „სახალხო განათლების“ საკუთარი კორესპონდენტი ხაშურის რაიონში.

ახალგაზრდობაში შეიღწერა იყო საქართველოს პრიზიორი ქართულ ჭიდაობაში. ორჯერ – 1954 და 1955 წლებში ჩემპიონი. არის სპორტის ოსტატი (ხაშურის რაიონიდან პირველი) სპორტის ამ სახეობაში.

ადგენდა საჭადრაკო ამოცანებს და ეტიუდებს, რომელიც იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში. არის რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ღაურეატი და კონკურსში გამარჯვებული. გარდაიცვალა 2014 წელს.

თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთმა ბრწყინვალე წარმომადგენელმა თემურ (თემურაზ) გიორგის ძე მეტრეველმა ხაშურის III საშუალო სკოლა დაამთავრა. ჯერ თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ 60-იან წლებში უნივერსიტეტში მომავალი ჟურნალისტებისთვის მისაღები გამოცდების დაწესებამდე ტარდებოდა კონკურსი. გამარჯვებული უკონკურსოდ ირიცხებოდა ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. 1965 წლის უკონკურსოდ ჩარიცხულ სამ სტუდენტს შორის ერთ-ერთი თემურაზ მეტრეველიც იყო.

1970 წელს მან წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს რადიომაუწყებლობაში. ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციაში. შემდეგ მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“, უფრო დიდხანს კი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 90-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის და კერძოდ, ჟურნალისტიკის განვითარებაში. ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა თავისი პუბლიცისტური წერილებითა და სტატიებით. 1990 წლიდან იყო გაზეთის „კაბადონი-8“, „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „მოქალაქე“ მთავარი რედაქტორი, გაზეთ „დროის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

2000 წლიდან თემურაზ მეტრეველი გაზეთ „ახალი ეპოქის“ მთავარი რედაქტორია. პარალელურად კითხულობდა „ჟურნალისტიკის საფუძვლების“ კურსს თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2002 წლის 20 მარტს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მაღალკვალიფიციურ ღონეზე წარმოებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის თემურაზ მეტრეველი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. გარდაიცვალა 2005 წელს.

ხაშურში მოღვაწეობის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი ივანე (მურად) მიხეილის ძე მთვარელიძე, იგი დაიბადა 1953 წელს, დაამთავრა რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლა. 1973-1978 წლებში სწავლობდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მისი დამთავრების შემდეგ, ერთხანს, იგი აქვე მუშაობს, შემდეგ ხაშურში ბრუნდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჯერ ოსიაურის, ხოლო შემდეგ რკინიგზის ხაშურის №3 საშუალო სკოლაში. აქვეა სკოლის დირექტორი. იყო რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის“ რედაქტორის

მოადგილე. 1986 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1997 წელს სადოქტორო დისერტაცია ლიტერატურათმცოდნეობაში. 1998 წლიდან მუშაობდა ხაშურის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. შემდეგ ხაშურის №9 საშუალო სკოლის დირექტორია. ამაჟამად მუშაობს ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუხეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ლექციებს კითხულობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის არაერთი ნაშრომის ავტორი. მათ შორის 40-ზე მეტი წიგნისა, აგრეთვე რამდენიმე პოეტური კრებულისა.

ცნობილი მთარგმნელი იყო ქეთევან სიმონის ასული ნადირაძე (დაიბადა 1922 წელს ქ. ხაშურში) დაამთავრა თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტი. თარგმნა მწერალ ვ. იანის ისტორიული რომანები „ჩინგიზ-ხანი“, „ბათუ ყაენი“, ი. ვალენტინოვის „მოთხრობები აფრიკაზე“, „ბულგარული ზღაპრები“, „რუმინული ზღაპრები“ და სხვა. გარდაიცვალა 1961 წელს.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ლერი ვახტანგის ძე ნოზაძე (დაიბადა ქ. ხაშურში, 1955 წელს) 1972 წელს დაამთავრა ხაშურის II საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს - თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1979 წლიდან მუშაობს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში. იყო ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის მათემატიკოს-პროგრამისტი, ასპირანტი, დოცენტი, სტაჟირება გაიარა მოსკოვის კ.ა. ტომირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ინფორმატიკის ხაზით. 1993 წელს დაიცვა საკან-

დიდატო დისერტაცია. პროფესორი ლ. ნოზაძე არაერთი ნაშრომის ავტორია, მათ შორისაა ოთხი სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო. ამავე დროს ეწევა ნაყოფიერ საახოვადობრივ საქმიანობას.

ლ. ნოზაძის კვლევითი ძირითადი სფეროა სოფლის მეურნეობაში საწარმოო სიტუაციების მათემატიკური მოდელირება ხელმძღვანელობს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს „ინფორმატიკაში“, არის აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაგისტრატურის განყოფილების დარგში. ამაჟამად ლექციებს კითხულობს ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში. გარდა სამეცნიერო შრომებისა, არის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორი.

ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ალექსანდრე ასლანის ძე ოშიაძე, მართალია, ონის რაიონში დაიბადა 1902 წელს, მაგრამ თავისი ბავშვობა და ახალგაზრდობა ხაშურში გაატარა. 1920 წელს აქვე დაამთავრა ვაჟთა გიმნაზია. მონაწილეობდა სცენის-მოყვარულთა წრეებში, 1926-32 წლებში ხაშურის რკინიგზის მუშათა თეატრის მსახიობი იყო. 1932-34 წლებში - ქუთაისის, ხოლო 1935 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კ. მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. გამორჩეული სცენური მომხიბვლელობით, უშუალოდ, მსატერული ზომიერების გრძნობით. როლები: გაბრო („ნატყვილი ხიდი“ ი. ჭავჭავაძის მიხედვით), ბერუხა (ლ. ვოთუას „მეფე ერეკლე“), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), პიკერინგი (ბ. შოუს „პიგმალიონი“), ილია ჭავჭავაძე (გ. ნახუცრიშვილის „წიწამური“), ბაბოა (კასონის „ხეები ზეზუელად კედებიან“), თორნიკე (მ. მრეველიშვილის „ხარატიანთ კერა“), იასე (ი. მოსეშვილის „მისი ვარსკვლავი“) მიღებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია 1952 წ.).

ალექსანდრე ოშიაძემ დაუვიწყარი სახეები შექმნა აგრეთვე კინოფილმებში მეფე ვახტანგ VI („დავით გურამიშვილი“), სანდრო („დაგვიანებული სასიძო“), ზურაბ ერისთავი („გიორგი სააკაძე“), გიგო პაპა („მაგდანას ღურჯა“), გიორგი („ჭრიჭინა“), ტარიელ გოლუა („ტარიელ გოლუა“) და სხვა.

1958 წელს ალ. ოშიაძეს მიენიჭა „საქ სსრ სახალხო არტისტის“ წოდება. დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის ორდენებით“.

გარდაიცვალა 1972 წელს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მერაბ გრიგოლის ძე სარალიძე დაიბადა 1936 წელს ქ. ხაშურში. 1954 წელს დაამთავრა რკ. ხაშურის №12 საშუალო სკოლა. 1955-1960 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1960 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ სასცენო განყოფილებაში – რედაქტორად. 1968 წელს გადაიყვანეს მულტგაერთიანების მთავარ რედაქტორად. 1975 წლიდან არის ნახატი ფილმების რეჟისორი. მის მიერ გადაღებულია შემდეგი ნახატი ფილმები: „ხელები“, „ეს გაუგებარი სიყვარული“, „ისევ გველეშაპსა და სიყვარულზე“, „ციფრების მომთვინიერებელი“, „უხეირო დათუნია“, „ხარისხის ნიშანი“, „ფასკუნჯის მხედრები“, „სიზმარა“, „ბაბადა მომღერალზე“, „მწვანე ტოტი“, „ტყის კვარტეტი“, „თუთიყუში“ და სხვა. არის სცენარის ავტორი სრულმეტრაჟიანი ფილმებისთვის: „ჩაძირული ქალაქის მაძიებელი“, „მულტფილმებისთვის: „როგორ მარხავდნენ თავგები კატას“, „მონადირენი“, „მომთვინიერებელი“, „ნაცარქექია“, „ნაცარქექიას ახალი ფათერაკები“, „ოქროსთმანი მხეთუნახავის მოტაცება“ და სხვა.

ცნობილი მუსიკოსი და პედაგოგი ჯონი კონსტანტინეს ძე სარალიძე დაიბადა 1929 წლის 22 სექტემბერს, ქ. ხაშურში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის მე-12 საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1954 წლიდან მუშაობდა ქ. ლენინგრადში ლენინგრად-ფინლანდიის ელექტრო-დეპოში ოსტატად, შემდეგ ტექნიკურ ბიუროში – მთავარ ინჟინრად.

1954 წლიდან ჯ. სარალიძე შედის ლენინგრადის რიმსკი-კორსაკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე. აქ მისი პედაგოგი იყო პროფესორი ევგენი ოლხოვსკი. შემდეგ იგი გადადის თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელსაც 1961 წელს ამთავრებს და მუშაობას იწყებს ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკომედის თეატრში. აქ მან არაერთ სპექტაკლში შექმნა საინტერესო თეატრალური სახე. 1970 წლიდან ჯ. სარალიძე დანიშნეს თბილისის 24-ე სამუსიკო სკოლის დირექტორად, პარალელურად იგი სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი. 1994 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით სამუსიკო სკოლა გარდაიქმნა კოლეჯად, ხოლო 2002 წლიდან სამუსიკო ინსტიტუტად, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა რექტორად.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მორის დანდურიშვილი:
„ცერნი ეს არის ადგილი, სადაც არ არის აწმყო, არის წარსული და მომავალი...“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებლებისთვის ჩატარებული კონკურსის საფუძველზე შერჩეული, ფიზიკის 18 მასწავლებელი, სასწავლო ვიზიტით, ცერნის ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში იმყოფებოდა. სასწავლო ვიზიტში ასევე მონაწილეობდნენ საუკეთესო დირექტორის კონკურსის გამარჯვებული და ფინალისტი.

ჯგუფის წევრებმა, ერთი კვირის განმავლობაში, დაათვალიერეს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია, ადგილზე ჩატარეს სასკოლო ექსპერიმენტები, ასევე მოისმინეს ცერნში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ფიზიკოსების ლექციები თანამედროვე ფიზიკის საკითხებზე, სამეცნიერო მიღწევებსა და ამ კვლევების დანიშნულებაზე, ფიზიკის როლსა და საჭიროებაზე სხვადასხვა პროფესიების და თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე. სასწავლო ვიზიტის ფარგლებში, დირექტორები ესტუმრნენ ციურიხის ერთ-ერთ სკოლას, სადაც მათ საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიმართულებით არსებულ გამოცდილებასა და პრაქტიკას.

სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო საგნების, კერძოდ ფიზიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებასა და სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციას სკოლებში.

ვიზიტისა და იქაური შთაბეჭდილებების შესახებ ვერცხლად გვესაუბრა ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი. გთავაზობთ საუბრის პირველ ნაწილს.



- ვიზიტი ცერნში იყო მასწავლებელთა სახლის მიერ დაგეგმილი და ორგანიზებული. 2022 წელს გაცხადი წლის საუკეთესო დირექტორი, ჩემს გარდა კიდევ ორი დირექტორი, რომლებმაც მიიღეს სპეციალური პრიზები, და მასწავლებლის სახლის მიერ ჩატარებული კონკურსით შერჩეული ფიზიკის 10 მასწავლებელი საქართველოდან ჯილდოდ წაგვიყვანეს ევროპული ბირთვული ლაბორატორიის ევროპული კვლევის ცენტრში, ერთკვირიანი სასწავლო ვიზიტით. სტაჟირებისას, ერთი კვირის განმავლობაში, ვიმყოფებოდით და ვცხოვრობდით ცერნის ტერიტორიაზე. მოკლედ რომ გითხრათ, დღის წესრიგი ასეთი იყო: დღის პირველი ნახევარი ეთმობოდა ლექციებს, დღის მეორე ნახევარში კი ვათვალიერებდით უშუალოდ იმ სივრცეებს, სადაც ექსპერიმენტები მიმდინარეობს. შეიძლება აღაშინებდეს უამრავი ქვეყანა ნახოს, რა პრობლემაა, დღეს აღარ არის ევროპაში მოგზაურობა საოცრებო და მიუღწეველი, მაგრამ იმ სივრცეებში შესვლა, სადაც ჩვენ ვიყავით, ეს არის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი. იმიტომ, რომ, შედის სივრცეებში, სადაც აწმყო არ არის, არის წარსული და მომავალი... ჩვეულებრივი დროის მანქანა... იკვლევენ წარსულს და ფიქრობენ მომავალზე, როგორი უნდა იყოს. მართლაც საოცრებაა ეს ყველაფერი. პირველი ამადლეველები მუხტი მაშინ მივიღეთ, როდესაც მსოფლიო მეცნიერების ამ მექაში ქართველები დაგვხვდნენ.

პირველი ყველაზე დიდი ემოცია

- ამ სივრცეებში მუშაობენ ქართველი მეცნიერები, რომლებიც სრულებითაც არ არიან რიგითები. მაგალითად, მათ შორისაა ქართველი, ატლასის ერთ-ერთი ექსპერიმენტის ხელმძღვანელი, რომელიც პროგრამის დირექტორია. არის კიდევ ყველაზე პოპულარული კოლაიდერის ერთ-ერთი ამწყო ალექსი მესტვირიშვილი... ვდგავარ ატლასის სივრცეში და მოვიდა ახალგაზრდა ადამიანი, პატარა ბიჭი და მეკითხება, - თქვენ ხაშურიდან ხართ? და ვიფიქრე, რადგან ჩვენთან ერთად აჭარის ჯგუფიც იყო და ქართველად დამელაპარაკა, ალბათ აჭარელია და კი, ხაშურიდან ვარ, მეოქი და გავაგრძელე ჩემი საქმე, და მეც ხაშურიდან ვარო. ეს იყო შოკი. ვკითხე, აქ საიდან მოხვდი-მეოქი და ჩემი ნათქვამის შემტყუება. მოხვედრით მე მოხვდი და ეს ახალგაზრდა კი იქ მუშაობს და არ არის რიგითი, ამ ვებერთელა, 12 ათასი ტონა ატლასის ერთ-ერთი დეტალის გამართულად მუშაობას ხელმძღვანელობს და ფიზიკის



კორიფეა...

და ეს ჩვენ არც ვიცით, არც გვსმენია...
 - ეს ახალგაზრდა ლევან ღონდაძეა, რომლის მამაც ალექსი ღონდაძეც არის ძალიან ცნობილი ფიზიკოსი, ექნევაში მოღვაწეობს. ლევანის გადმოცემით, როდესაც სასკოლო ასაკის იყო, მაშინ დატოვა ოჯახთან ერთად ქვეყანა, თუმცა ქართულად მეტყველებს. მე დაგვატივე ჩვენს სკოლაში, როდესაც აპრილში ჩამოვა საქართველოში, ესტუმრება ჩვენს სკოლას...

- რა სასიამოვნოა! გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა და დაგეგმა სოციალური ქსელებით დაკონტაქტებოდა ლევან ღონდაძეს და ჩაეწერა მასთან ინტერვიუ, და რადგან ეს ვიზიტი დაგეგმილია, იმედს ვიტოვებთ, რომ დაგეგმარებით მასთან ჩაეწეროთ ექსკლუზიურად ინტერვიუ.

- კი, რა თქმა უნდა, შევახვედრებთ მას. მე მაქვს მისი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაცია, შემიძლია ესეც გაგიზიაროთ. თავად გვესტუმრება აპრილის ბოლოს სკოლაში და დაგვიპირდა, რომ შეხვედბა ბავშვებს და ფიზიკის შესახებ ჩაუტარებს ლექციებს უანგაროდ. მინდა გითხრათ, რომ თავადაც იყო ძალიან გახარებული... კიდევ ვიმეორებ: ბირთვული კვლევების ცენტრში მუშაობა არ არის მარტივი, მაგრამ იქ რომ ხელმძღვანელიც ხარ და პასუხისმგებლობა გაქვს, ეს კიდევ დიდი პატივია... ჩვენ, ჩვენი ქართველობის გამო, ვიყავით ყველასგან პატივცემულები განსაკუთრებულად, რაც იყო იქ მოღვაწე ქართველების დამსახურება.

ლევან ღონდაძე მუშაობს ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში და არის ატლასის ექსპერიმენტის NSW da RPC განახლების ჯგუფის წევრი. ბოლო 3 წელია მუდმივად იმყოფება ცერნში ატლასის მიონურ სპექტრომეტრში NSW (Niw Small Wheel) ინტეგრაციისა და ექსპლუატაციაში შესაყვანად. მიმდინარე წელს იყვებს საქმიანობას INFN-ში (Istituto Nazionale di Fisica Nucleare, italia, fraskati).

მეორე ყველაზე დიდი ემოცია

- კოლაიდერი! მიწის ქვეშ დაახლოებით 88 მეტრზე ვიყავით, უფრო ზუსტად - 87.9-ზე, ფოტოზეც აღვბეჭდვ. როდესაც ლიფტმა დაწერა 87 და 9. მეორე დღეს მოვფრინავდით და ვხუმრობდი, დღეს მიწაში მივდივართ და ხვალ ზეცაში, მეოქი. ერთი სიტყვით, ვნახეთ კოლაიდერი იქამდე, სადამდეც შეიძლება შევსულიყავით. მოგვეცა საშუალება გვენახა ის გარემო, სადაც სამუშაო პროცესი მიმდინარეობს. გადავიღეთ ფოტოებიც და შთამბეჭდავი კიდევ რა არის?! როდესაც შედიხარ, იქ მომუშავე მეცნიერები, არ გხედავენ, პროცესი მიმდინარეობს ჩვეულებრივად. იმიტომ, რომ იქ სულ ვიზიტორები არიან. მუშაობს სხვადასხვა პროგრამა, არიან მოსწავლეები, სტუდენტები, თუ მასწავლებლები სხვადასხვა ქვეყნიდან.



კოლაიდერთან

- ანუ, საგანმანათლებლო საქმიანობა-საც ეწევიან?

- აუცილებლად. თავისი კონსტიტუცია აქვთ. 7 ჰექტარი ტერიტორიაა, რომელსაც დაახლოებით 18 მილიარდი აქვს ბიუჯეტი. და მათი კონსტიტუცია გულისხმობს შემდეგს: ცოდნას, რომელსაც ისინი შეიძენენ, უსასყიდლოდ უნდა გააავრცელონ. მე ვიყავი იქ, სადაც ინტერნეტი შეიქმნა, სადაც მიკროტალღური დუმელი შეიქმნა... ჰოდა, მათ ინტერნეტი შექმნეს არა იმისთვის, რომ ჩვენ „ფეისბუქი“ გვესქროლა, არამედ მათი საჭიროებისთვის და შემდეგ ისინი ამბობენ, რომ თქვენ დისტრიბუტორი კომპანიები გართმევენ დისტრიბუციის თანხას, თორემ ინტერნეტი უფასოა. მიკროტალღები, რომლებიც მათ შექმნეს და ყველა სხვა გამოგონება, შეიქმნა კვლევებისთვის, რომლებიც მერე ჩვენ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გვადაგვბა...



ოთახი, სადაც შეიქმნა ინტერნეტი

- და შემდეგ ის კომერციული მიზნებისთვის არის გამოყენებული...

- რა თქმა უნდა. მაგრამ ამით სარგებელს არ მოიპოვებს ცერნი. და უყურებ და ფიქრობ, რომ რაც შენთვის ამ წუთს არის მომავალი, იქ წარსულია... 5 განზომილებით ხედავდა ნიუტონი სამყაროს და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, რომ 6 განზომილებით შევისწავლოთ მოვლენები და მოკლედ, არის უსაზღვრო შესაძლებლობების ზღვა, რომელსაც იყენებს ადამიანი და ხარ ბედნიერი, რომ ეს ადამიანის გონებას შეუძლია, ანუ, შენც შეგიძლია ეს გააკეთო, შენმა შვილმაც ეს გააკეთოს, შენმა თანამემამულემ ეს გააკეთოს...

სრულიად განსხვავებულია მათი საუბრის თემაც, რა თქმა უნდა. მაგალითად, უმცირესი ნაწილაკი პიქსის ბოზონი, რომელიც მასას გვაძლევს, 50 წლის წინ რომ პიქსმა თეორიულად იწინასწარმეტყველა და რომ ეს არსებობდა გამართლდა 50 წლის მერე. სხვათაშორის, ძალიან ფრთხილები არიან, თქვენ გადაჭრით რამე ამბობენ რომ ჰგავს, პიქსის ბოზონს გავს ეს მოვლენა... ჰოდა, მერე, რაღაცა ეტაპზე, მე ვკითხე, რომ თუ უშვებთ ღმერთის არსებობას? და პასუხი არ აქვთ, რომ - არა. ამბობენ, რომ ამ წუთას კვლევა ამაზე პასუხს ვერ იძლევა, მაგრამ შეიძლება დადგეს დრო



გაგრძელება იხილეთ მე-5 გვერდზე

და კვლევამ თქვას, რომ ეს არის გონიერი ვიდეო, ვიდეო სხვას, მაგრამ ამ წუთას მივიღებთ, ასე ამბობენ ცერნში.

-არ გამოიცხადებ არა?

- არა! ყველაზე ღირებული, რაც არის მათ საუბარში და რასაც მერე მე ჩემს პრაქტიკაშიც დავნერგავ, ტერმინი „გამორიცხადია“, ეს სიტყვა უბრალოდ მათ საუბარში არ არსებობს. ამბობენ, რომ „ამ ეტაპზე კვლევა ამას არ ამბობს, ამ ეტაპზე ეს ამას ჰგავს, მაგრამ ვერ ვამბობთ, რომ ეს არის“. აი, ასე საუბრობენ.

- „არასოდეს უნდა თქვა არასოდეს“ პრინციპია?

- შესაძლებელია, რომ ამასაც გავდეს მათი დამოკიდებულება. ასევე ცერნში არ ამბობენ სიტყვას „მშვიდობით“. ამბობენ „ნახვამდის“. ყველას, ვინც იქიდან მოდის, ელოდებიან შემდეგ კიდევ როგორც საუბრის დასაწყისში გითხარით, გადმოგვცა ბოლოს ატესტატები, რაც იმას ნიშნავს, რომ ვართ, სიმბოლურად, რა თქმა უნდა ჩემს შემთხვევაში, ცერნის კურსდამთავრებულები, ალუმნები, ვითვლებით, რომ გვქნება კიდევ სურვილი მივიდეთ ცერნში სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად. როგორც ვითხარით, არ აქვთ პროტესტი ფოტოების გადაღებაზე, ცოდნის გაგრძელებაზე. პირიქით, მათი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა წაიღოს იქიდან ვიზიტორმა. მათ რომ დაემაღლათ ინტერნეტი, ელექტრონები, მიკროტალღები, ჩვენ ეს სიკეთეები არ გვქნებოდა. ამიტომ პირიქით, ამბობენ რომ მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, მეტი სიკეთე გავიდეს ცერნიდან.



სამუშაო პროცესი CMS

მესამე ყველაზე დიდი ემოცია

-ქართული ქალი მეცნიერები. სტერეოტიპულად ხომ მიჩნეულია რომ ფიზიკოსები კაცები არიან?! იქ შრომობს ორი არანეგულბრივი ჩვენი თანამემამულე ქალბატონი: ქეთევან კააძე და ირმა მგელაძე. ირმა მგელაძის წიგნებით სწავლობს შვეიცარიის გერმანული ნაწილი და გერმანიის დიდი ნაწილი. ირმა მგელაძე არის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. საოცარი მეცნიერი, რომელმაც ჩაგვიტარა პრაქტიკული მეცადინეობები და გვაჩვენა ისეთი პრაქტიკული ექსპერიმენტები, რომლებიც სასკოლო გარემოში შეიძლება ჩაატარო. მაგალითად, ჯიპიესიანი მობილური ტელეფონი როგორ შეიძლება სასკოლო პროცესებში გამოიყენო სასწავლო მიზნებისათვის. ასევე, ჩვენი გიდი იყო ქეთევანი, რომელმაც აგვიყვანა მიწის სიღრმეში და გვაჩვენა საოცარი კოლაიდერი.... მე შემიძლია ყველა ქართველი იქ მოღვაწე მეცნიერის სახელიც კი ვითხარათ: ალექსი მესტვირიშვილი, ლევან ღონდაძე, ორი ირაკლი მინაძე, თანასოფლელები ვანის მუნიციპალიტეტიდან. ესენი არიან პედაგოგთა პროგრამებში მონაწილეები, თორემ შეიძლება იქ სხვა ქართველებიც მუშაობენ და არიან კიდევ, როგორც ვიცით.... ათი ათასამდე ადამიანი მუშაობს ცერნში და მათი გარკვეული ნაწილი მუშაობს დისტანციურად, გარკვეული ნაწილი კი მუდმივად იქ იმყოფება, რადგან ისინი უშუალოდ აკვირდებიან იმ სიგნალებს, რომლებიც მოდის „დროის მანქანიდან“, სამყაროდან და იქ ცხოვრობენ ოჯახებით. იქვე 10-15 კილომეტრში არის საფრანგეთის ერთი სასახლურ სოფელი, სადაც ცხოვრება შედარებით იაფია და იქ ცხოვრობენ ოჯახებით ეს მეცნიერები. ზოგადად შვეიცარიელები ძალიან ეროვნული ხალხია და ეროვნულ ტრადიციებს ძალიან დიდ პატივს სცემენ, და, პირველ რიგში, ყველა სიკეთე შვეიცარიელებისთვის არის და მერე - დანარჩენებისთვის. მიუხედავად



მიწისქვეშა ლიფტი

იმისა, რომ ქართველები არიან მეცნიერები, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა არ არის ევროკავშირის წევრი, ამ მეცნიერებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი სახლები, ისინი ცხოვრობენ ნაქირავებ სახლებში. მათ ცოდნას კი იყენებს ცერნი, მაგრამ ამ პრივილეგიას არ ანიჭებს.

მეოთხე ყველაზე დიდი ემოცია

- მეოთხე დიდი შთაბეჭდილება, ასე თუ დავთვლით: არ იყო არც ერთი გოჯი მიწისა დაუშუშავებელი.

მეხუთე ყველაზე დიდი ემოცია

-ვეენახები, გნებავთ მეხუთე ემოცია იყოს. თავდაპირველად, ვიფიქრე, რომ ვენახები იყო რაღაცა სიმულაცია თუ იმიტაცია. ყველა ერთნაირად ფორმირებული, უღამაზესი, თვალუწვდენელი მიწის ნაკვეთები. მოვლილი, ნალოლიაგები. არ იყენებენ ხელოვნურ სასუქებს. ყველაფერი ბუნებრივია. ეს თვალშისაცემია, რადგან იქ ნახავთ საწარმოებს, რომელიც ბუნებრივ ნაკელს ამუშავებს და მინდვრებს ანოყიერებენ.

კიდევ ერთი საოცრება, შესაძლოა მეექვსეც (ხუმრობით)

- რომელზეც ვიხუმრე, რომ მე მგონი ხაშურში ვარ და არა შვეიცარიაში. იმიტომ რომ ცივა, 7 საათზე ცხოვრება მთავრდება, ყველაფერი დაკეტილია, და მოკლედ, უნდა მოასწროთ ყველაფერი 7 საათამდე. და ამასაც ვიხუმრებ, რომ „სოკარის“ შემდეგ ჩვენთან ახლოს იყო „ლუკოილი“, ბენზინგასამართი სადგურები. - ხუმრობა იქით იყოს და, საუბარში აღნიშნეთ, რომ ჩვენი მიზანია, იქ მიღებული ცოდნა გავაგრძელოთ. ამასთან დაკავშირებით რა იფიქრებთ?



„დროის მანქანა“

-ძალიან კარგი კითხვაა. შვეიცარიიდან ჩამოტანილი მატერიალური რესურსი ფიზიკის მასწავლებელს უკვე გადაეცემა, რაც შეეხება ელექტრონულ რესურსებს, ვეგამე მათ თავმოყრას, რომელსაც გავუზაფრნი რესურსცენტრს და მათი დახმარებით გავრცელდება სკოლებში. ეს მასალა არის ქართულ ენაზე. მათი მოთხოვნაც და სურვილიც იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანამდე, მეტი მოსწავლემდე მისულიყო, მეტი ბავშვს ენახა, რა ტიპის შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ ისწავლოს კიდევ და თან ეს სიამოვნებაც მიიღოს, რომ შვეიცარიაში იმოგზაუროს და ცერნის ბირთვული კვლევების ლაბორატორიაში იმუშაოს, რაღაცებს შეეხოს, თვითონ დაამაზადოს, თვითონ გააკეთოს....

-თქვენ გინდათ, რომ მე ფიზიკა შემაყვაროთ...

- მე იქ ვთქვი, რომ ისტორიკოსი ვარ და შეიძლება ისეთი კითხვები დავსვა, რომ ძალიან აცდენილი იყოს საგანს, მაგრამ პირიქით, მათი მიდგომა ის, რომ ცერნი არის ტერიტორია, სადაც ყველა კითხვა უნდა დაისვას და ჩვენი მიზანია ყველაზე პასუხი მივიღოთ. და აუცილებლად დასვითო და მე ამის შემდეგ ძალიან გამიიოღდა ზოგიერთი ისეთი კითხვის დასმა, რომელიც ფიზიკოსისთვის შეიძლება სასაცილოც კი ყოფილიყო, მაგრამ მაქსიმუმს აკეთებდნენ, რომ პირობითად მე - არაფიზიკოსს მათი პასუხი გამეგო. ამან განაპირობა ემოციების დაგროვება და ჩამონათვალი ბევრი აღმოჩენების, რომლებსაც თქვენთან ერთად ნომინაციებს ვანიჭებთ. მათ შეეძლოთ იმისათვის რომ გავგვეო ყველაფერი, დაუსრულებლად ესაუბრაოთ. პო, კიდევ რა, ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ჩართო ამანქარებელი, 27 კილომეტრიანი მანქანი, რომელიც მიწის სიღრმეშია განთავსებული. ერთგვარი დროის მანქანა. ძალიან სიმბოლური იყო, რომ ჩვენი ჩასვლისას, მიწის სიღრმეში, იმ დღეს, პარასკევს, ამ პერიოდში ირთებოდა ამანქარებელი. სპეციალურ სივრცეში დაგვროვეთ პირადი ნივთები, დასხივებაზე გავიარეთ ტესტირება და სპეციალური აღჭურვილობით შევედით იმ სივრცეებში, სადამდეც შესაძლებელი იყო. შესასვლელში შევედით ფოტო გადაღებაც. მოწყობილობებში, რომლებსაც თვითონ უწოდებენ ექსპერიმენტებს, ასეთი ოთხია, ორში ჩვენ ვიყავით, ეს არის ატლასი და სიემესი. ჩვენ იქ დავყავით 5 სამუშაო დღე.

თვა ახალკაცი

P.S. საუბრის მეორე ნაწილი იხილეთ გაზეთის მომდევნო ნომერში.

ხაშურელ მოჭიდავეთა წარმატება

წინა კვირა მართლაც დიდი წარმატებების მომტანი იყო ხაშურის სასპორტო სკოლისათვის. ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებიც აქ ხვეწენ თავის ოსტატობას, უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით იხვეჭენ სახელს და ალბათ, არც ის დროა შორს, როდესაც მათ ევროპა და მსოფლიოც გაიცინობს. ჯერ იყო და კასპში, ჭიდაობა სამბოში, ჭაბუკებსა და კადეტებს შორის გამართულ საქართველოს პირველობაზე ერთბაშად 6 მედალი მოიპოვეს - სამი ოქრო, ერთი - ვერცხლი და ორიც - ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: გიორგი გელაშვილი, ხვინა გაფრინდაშვილი და მიშო გაფრინდაშვილი, ვერცხლის მედალი გიორგი ნოზაძემ მოიპოვა, ბრინჯაოს მედალს კი ნიკოლოზ გოგალაძე და დავით ხიდაშელი დაეუფლნენ.

ამის შემდეგ, ოზურგეთში გვასახელა საბა ჩილაშვილი, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 17 წლამდელთა შორის, საქართველოს ჩემპიონი გახდა და მალე ევროპის პირველობაზეც მოსინჯავს ძალებს. ვულოცავთ ახალგაზრდა სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს ამ წარმატებას და გვჯერა, მათი სახით მართლაც ღირსეული ცვლა ეზრდება სახელოვან ხაშურელ ჩემპიონებს.



სურათზე: საბა ჩილაშვილი პედესტალის უმაღლეს საფეხურზე

— ხელოვნება —

მარიამ ალაჯანაშვილი: ყველა ჩემს ნახატს თავისი ისტორია, შინაარსი, ენერჯია და ემოცია აქვს...

„ყველაფერი შეიძლება გარდაქმნა და აქციო ხელოვნებად, მთავარია, როგორ ხედავ და გრძნობ ამ ყველაფერს“-23 წლის მხატვარი და პერსონალური გამოფენის ავტორი მარიამ ალაჯანაშვილი ასე განიხილავს ხელოვნების იმ მიმართულებას, რომელიც მას უსახლვრო შესაძლებლობებს და თავისუფლებას აძლევს, ტილოზე გადმოიტანოს ის, რაც მას ალღევს, როგორც ადამიანს. მარიამი პროფესიით ფსიქოლოგია, კარგად იცნობს საკუთარ და სხვა ადამიანების შინაგან სამყაროს, თუმცა ამბობს, რომ მისი ნახატები მას ჰგავს, მისი ემოცია და განწყობა დაყვება. თუ მის შემოქმედებას გაეცნობით, მიხვდებით, რამდენად მრავალფეროვანია, თავისი ბუნებით, ტექნიკებით-შეიძლიათ, ერთგვარი პორტრეტიც შექმნათ მის შემქმნელ თვითნასწავლ გოგონაზე, რომელშიც სამყარო იმაზე დიდი, ფერადი და საინტერესოა, ფუნჯის მოსამადე რომ ეგონა. მარიამი უკვე სამი გამოფენის მონაწილეა, აქედან, ერთი პერსონალურია. ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმმა უმასპინძლა, მის პერსონალურ გამოფენას. ჩვენი გაზეთის მკითხველი, უნდა იცნობდეს მრავალმხრივ და საინტერესო მხატვარს, თავისი ქალაქიდან:



ბავშვობიდან ვიხატავდი წიგნებიდან, ვქმნიდი ქალაქებისგან, თიხისგან. მახსოვს, მწერლების პორტრეტებს ვიხატავდი წიგნებიდან, პირველად როცა დავახატე, ეფუფის კოშკი იყო 14 წლის ასაკში. მიუხედავად იმის, რომ გადმოვიხატე, არასდროს დამავიწყდება ის შეგრძნებები და ემოციები, რომელიც ხატვის პროცესს ახლდა თან. ამ ნახატის შემდეგ, ჩანახატების კეთება დავიწყე ფანქრით და ტუშით. ბავშვობიდან მომწონდა ჩემით მიმეგონო ისეთი ტექნიკებისთვის, რაზეც წარმოდგენა არც მქონდა. ფიქრის და ძიების პროცესში მოდის ეს ყველაფერი. ამის შემდეგ იყო ტილოზე ხატვა აკრილით, 18 წლის ვიყავი. სწორედ აქედან იწყება გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატების ქრონოლოგიაც. პირველი დამოუკიდებელი ნახატი იყო ქალის პორტრეტი აკრილში, მახსოვს ემოცია, არავის სჯეროდა, რომ ჩემი ნახატი იყო.

—როგორია სამუშაო გარემო და პროცესი?
 -აუცილებლად უნდა ვიყო მარტო, მუსიკასთან ერთად. მუსიკა მძლევს მიმართულებას. მუსიკასთან ერთად ვხატავ, ერთხელ ვცადე, დამეხატა სინუმი, ამ ნახატს „სინუმის ხმაური“ ქვია. ყველა ნახატს თავისი ისტორია, შინაარსი, ენერჯია და ემოცია აქვს. იგრძნობა კიდევ, ყველა განსხვავებულია და მრავალფეროვანი, ყველა ნახატი ჩემს ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს, ჩემს ენერჯიას ატარებს.



—ყოველთვის იცი, რისი დახატვაც გინდა?
 -ყოველთვის, როცა ვხატავ, ესაა გარკვეული ტიპის ენერჯია, რომელიც მოდის და ამის გადმოტანა ხდება ტილოზე. ამ დროს, ბოლომდე ვკარგავ თავს,


მთელი დამე მიხატია, შესვენების გარეშე, სხვა არაფერი მიკეთებია, არაფერი მიგრძნობია, ისე შექმნილა ნახატი. ხშირად მქონია ის მომენტი, არ ვიცოდი, რას ვხატავდი. მაქვს ნახატი, „ანგელოზი“, რომელიც თავისთავად მოვიდა, ხელის მოსმით და ემოციებით, რომ დავასრულე, მერე მივხვდი, რომ გამტარი ვიყავი იმ ენერჯიების, რომელსაც სამყარო გიგზავს.

—ფსიქოლოგი ხარ, თუ გეხმარება შენი პროფესია, ხატვის დროს, ადამიანის ბუნებას სიღრმეებში გაშალო, ჩაწედე, გამოიტანო?

-პროფესიით ფსიქოლოგი ვარ, არ მიმუშავია ამ კუთხით, თუმცა, ჩემს ნახატებში ძალიან მეხმარება ეს. ერთ-ერთ გამოფენაზე, გავიტანე ნახატები, რომელიც დეინდივიდაციას და დეპერსონიზაციას ეხებოდა (თემატიკა განსახლდურული იყო), ძალიან დამეხმარა ჩემი პროფესია ამ ნახატების შექმნაში. ყველა ნახატი მე ვარ, ყველა ნახატი მარიამია-ბოლომდე მე თუ არ ვარ, რაღაც ნაწილი, ჩემი ემოცია დევს. აქამდე ამიტომ მიჭირდა ჩემი ნახატების გაყიდვა, საკუთარი თავის გაყიდვას ჰგავს.

—როგორია მხატვრების შეფასება?

-ბევრი მხატვრისგან მივიღე ძალიან კარგი შეფასება, არ ველოდი, რომ ამხელა მოწონებას და დაინტერესებას გამოიწვევდა. ჩემი ნახატები ავტორთუ უცხოელ მხატვართა გვერდზე, დამიკავშირდა საბერძნეთის წარმომადგენელი და შემომთავაზა ჩემი ნახატების წიგნში შეტანა. დიდი ხანი მქონდა კომპლექსები, რადგან არ მქონდა სამხატვრო სკოლა გავლილი, მერე გავაცნობიერე, რომ ეს ყველაფერი შეგნიდან უნდა მოდიოდა, ეს არ ის-წავლდა. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, თუ განათლებას მივიღებდი, ჩემს თავისუფლებას დაგკარგავდი, იმას დაგკარგავდი, რაც გამომარჩევს.



—რომელ ტექნიკებს იყენებ ხატვის დროს?

-ჩემი ნახატები ბევრი ტექნიკით იქმნება. ვეძებ სიახლეებს, მოდის იდეები და ცოცხლდება სხვადასხვა ტექნიკების გამოყენებით. ისეთი მასალები მაქვს გამოყენებული, როგორც, წარმოიდგინო, რომ აქედან შეიძლება ნახატი შეიქმნას, საბოლოოდ ძალიან ლამაზად გამოდის ეს ყველაფერი. ყველაფერი შეიძლება გარდაქმნა და აქციო ხელოვნებად, მთავარია, როგორ ხედავ და გრძნობ ამ ყველაფერს.

—დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმმა, შენ პირველ, პერსონალურ გამოფენას უმასპინძლა, ცოტა ხნის წინ. როგორ მიხვედი ამ გადაწყვეტილებამდე?

-ეს გამოფენა, შესამე გამოფენა ჩემთვის, მაგრამ ყველაზე დიდი და პერსონალურია. ამ გამოფენაზე ზუსტად 90 ნახატი იყო წარმოდგენილი. პირველი გამოფენა ხეუს უნივერსიტეტში მქონდა, სადაც 100 მხატვრის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ჩანაწერი მაქვს გაკეთებული, სადაც იმ ემოციას აღწევ, როცა ჩემი ნახატები გამოფენაზე დავტოვე და უკან ვბრუნდებოდი. მეგონა, რომ ყველა ჩემი ემოცია გაშიშვლდა და ყველას მიცვა შესაძლებლობა, უფრო ახლოდან დავეხატე. მეორე გამოფენა იყო ჩემი უნივერსიტეტის თვითმმართველობის მოწვევით გამოფენა. ვერცერთ გამოფენაზე ვერ შევძელი მისვლა. შესამე, პერსონალური გამოფენა, ჩემი მეგობრების მხარდაჭერით და თხოვნით მოეწყო. მადლობელი და მადლიერი ვარ იმ ადამიანების, ვინც დამეხმარა, მეგობრები, ოჯახის წევრები, დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის თანამშრომლები, ქალბატონი კლარა, ბატონი რეზო და გივი. გარდა იმის, რომ სიამოვნებით დამითმეს სივრცე, ფიზიკურად მეხმარებოდნენ ნახატების განლაგებაში.

—რას ნიშნავს შენთვის, რომ უკვე პერსონალური გამოფენა გაქვს 23 წლის ასაკში?

-ძალიან მიხარია, რომ შევძელი, ჩემი ნამუშევრები გამომეტანა ასე საჯაროდ, მეორე ის, რომ გადავწყვიტე გამოფენა-გაყიდვა ყოფილიყო. ძალიან დიდი ფიქრის შემდეგ, გაყიდვაზეც დავთანხმდი. ძალიან მომწონს ის დამოკიდებულება, რომ ჩემს ნახატებზე, ყველას სხვადასხვა დამოკიდებულება და ხედვები აქვს. ხატვა არის ჩემთვის საქმე და პროცესი, რომელიც არასდროს მთავრდება, ან მბეზრდება. ძალიან ემოციურია ჩემთვის, რომ პირველი შენი პერსონალური გამოფენის მასპინძელი ჩემი ქალაქი იყო.

რამდენიმე დღეში, მივდივარ იტალიაში. მომავალს რომ განვიხილავ, ვხედავ, მუშაობის პროცესს, როგორ ვაცნობ ჩემს შემოქმედებას, ვიღებ განათლებას ამ კუთხით. ესაა ის მომავალი, რომელიც ამ ეტაპზე წარმომიდგენია.

თამარ ჯავახიშვილი



ნური (ბავლოვიჩი) გოგოლაძის ხსოვნას

სიყვარული, ერთგულება, წესიერება, თანადგომა...ეყენია ის უმთავრესი ღირებულებები, რომელიც მთელი ცხოვრება სხეულით ატარა ჩვენმა საოცარმა მეგობარმა ნური გოგოლაძემ, რომელიც პეშვი-პეშვი აგროვებდა სიკეთეს და შემდეგ უშურველად გასცემდა. კელაპატრის წვა იყო მისი სიცოცხლე-სინათლეს რომ აფრქვევს და სიყვარულს და რწმენას აღვივებს. ჯერ კიდევ ბავშვობაში, მთელი კლასის სული და გული იყო-აი, ისეთი-სიტყვაც რომ წონიანი ჰქონდა და საქმეც. ერთგვარი ცენტრალური ფიგურა იყო, რომელიც მთელ სამეგობროს გვაერთიანებდა. ასეთივედ დარჩა სიცოცხლის ბოლომდე. წესიერება იყო მისი ცხოვრების კრედი, უცხო იყო მისთვის შური და ბოღმა და სიყვარული ელო საფუძვლად მის ყოველ ქმედებას. ამასვე გადასცემდა თავის

მოსწავლეებს, რომლებიც დღეს უკვე ასეულობით არიან და რომელთა მიერ მის ცხედართან დაღვრილი ალალი ცრემლია დასტური იმ უსახლვრო სიყვარულისა, რომელიც მათ საკუთარი მასწავლებლის მიმართ ჰქონდათ. ზომ ბავშვობიდან ერთად მოვლივართ, მაგრამ თითქოს ჩვენი მასწავლებელიც იყო-ყოველდღიურად სიკეთის ქმნას და მოყვასის სიყვარს რომ გვასწავლიდა.

საოცარი კაცი დაკარგეთ-ისეთი, მისი გვერდით ღოგმა რომ გეამაყება. იცი, ნებისმიერ ქარტეხილში შენს გვერდით იქნება.

მეონად ვუდგებით უფალს და შევთხოვთ, რომ სანთელ-ნათელი არ მოაკლოს მარადიულ სასუფეველში.

მშვიდობით, მეგობარო!

გკოცნით და გეფერებით, კარგო კაცო!

მეგობრები, რკინიგზის მეოთხე საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

♣-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.